# ნიკო ნიკოლაძე და გაზეთი „Обзор“–ი რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომისა და სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს შემოერთების შესახებ

**გიგა ბასილაძე**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
g.basiladze1985@gmail.com

**DOI: https://doi.org/10.52340/lac.2022.953**

*XIX საუკუნე უაღრესად რთული და საინტერესო პერიოდია ქართველი ხალხის ისტორიაში. ეს არის საუკუნე, რომელიც გამოირჩევა ისეთი საპირისპირო მოვლენებით, როგორიცაა სახელმწიფოებრიობის დაკარგვა, ეროვნულობის გამოღვიძება, ისტორიული მიწებისა და მოსახლეობის კვლავ მშობლიურ მიწა–წყალთან შეერთება, რუსეთის იმპერიის წიაღში, ქართველი ხალხის ერთ ერად ჩამოყალიბება და ასე შემდეგ. ცარიზმის უღელქვეშ ქართველმა ხალხმა შეძლო არამარტო გადარჩენა და კონსოლიდაცია, არამედ საუკუნეების განმავლობაში დაკარგული მიწებისა და მოსახლეობის დაბრუნება. ამ პროცესებში აქტიურად იყო ჩართული ქართული პატრიოტული ინტელიგენცია, რომელიც რუსეთის ძალას უკავშირებდა ოსმალეთის იმპერიის მიერ მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნებას. ამ შემთხვევაში საქართველოს ეს ისტორიული ტერიტორიები ერთი დამპყრობელიდან მეორეს ხელში გადადიოდა, მაგრამ ტერიტორიული გამთლიანება, თუნდაც კოლონიურ პირობებში, თავისთავად პროგრესული აქტი იყო. ყოველივე ეს ქართველ ხალხს კარგად ჰქონდა შეგნებული. ამიტომ იგი აქტიურად მონაწილეობდა რუსეთ–ოსმალეთის 1806–1812, 1828–1829 და 1853–1856 წლების ომებში და რუს მეომართა მხარდამხარ ღვრიდნენ სისხლს ქართული მიწა–წყლის დასაბრუნებლად.*

**საკვანძო სიტყვები: ნიკო ნიკოლაძე, რუსეთ–ოსმალეთის ომი, გაზეთი „Обзор“–ი**

რუსეთ–ოსმალეთის 1828–1829 წლების ომის შედეგად იმპერიას შეუერთდა სამხრეთ საქართველოს ისტორიული ნაწილი (დღევანდელი სმცხე–ჯავახეთი–გ.ბ.), რაც ხელსაყრელ პლაცდარმს უქმნიდა ცარიზმის მესვეურებს სამხრეთ–დასავლეთ საქართველოსა და აღმოსავლეთ ანატოლიის ნაწილის შემოერთებაში. ყირიმის ომში (1853–1856 წწ) ევროპის სახელმწიფოების ჩარევამ და რუსეთის მარცხმა დროებით შეანელა ეს პროცესი. მიუხედავად ამისა, რუსეთის ექსპანსია ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიების ხარჯზე გარდაუვალ რეალობას წარმოადგენდა.

რუსეთის იმპერია XIX ს–ის 60–იანი წლებიდან აქტიურად შეუდგა ოსმალეთთან ახალი ომისათვის სამზადისს. იმპერიის მესვეურებს ამიერკავკასიის

ხალხების მხარდაჭერის იმედი ჰქონდათ, მაგრამ აინტერესებდათ დაზუსტება იმისა, თუ რა პოზიციას დაიკავებდა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი სამხრეთ–დასავლეთ საქრთველოს მოსახლეობა ომის შემთხვევაში.

ამ მიზნით XIX საუკუნის 60–70–იან წლებში სამხრეთ–დასავლეთ საქართველოში მიავლინეს ივ. კერესელიზე, ა. მეფისაშვილი, გ. წერეთელი, დ. ბაქრაზე, გ. ყაზბეგი და სხვა. მათ შეხვედრებსა და საუბრებს ადგილობრივ მოსახლეობასთან, კერძოდ გავლენიან პირებთან, არა მარტო წმინდა სამხედრო, არამედ ეროვნულ–პატრიოტული მნიშვნელობა ენიჭებოდა[სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ.3:44].

საომარი მოქმედებები, რომელმაც გადაწყვიტა სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის დაბრუნება, 1877–1878 წლებში მიმდინარეობდა. იმ პერიოდის ინტელიგენცია აქტიურად ჩაერთო საომარი მოქმედებებისა და პოლიტიკური პროცესების გაშუქებაში. გაზეთი ,,დროება“(1866–1885წწ) და ,,ივერია“(1877–1906წწ) ინტენსიურად აშუქებდა მოვლენების მსვლელობას და აწვდიდა ინფორმაციას ქართველ მკითხველს. ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწები და პუბლიცისტები გ. წერეთელი და ს. მესხი, როგორც სამხედრო კორესპონდენტები, იმყოფებოდნენ კავკასიის ფრონტზე.

ამიერკავკასიის ფრონტზე სამხედრო კორესპონდენტად იმყოფებოდა აგრეთვე დიდი ქართველი 60–იანელი, სახელმწიფო მოღვაწე, მოაზროვნე და პუბლიცისტი – ნიკო ნიკოლაძე. მისი წერილები განკუთვნილი იყო რუსულენოვანი მკითხველისათვის და ამიტომ ნაკლებად იყო ცნობილი იმ პერიოდის ქართული საზოგადოების ფართო მასებისათვის.

ნ. ნიკოლაძე ჯერ კიდევ 1877 წელს იმყოფებოდა ამ ომში კავკასიის ფრონტზე, როგორც გაზეთების „Тифлисски Вестник“-ისა (თბილისის მოამბე) და „Голос“-ის (ხმა) სამხედრო კორესპონდენტი. 1877 წლის ნოემბერში კი დიდმა ქართველმა დააარსა რუსულენოვანი გაზეთი „Обзор“-ი (მიმოხილვა), რომელსაც განსაკუთრებული ადგილი ეჭირა იმპერიაში არსებულ რუსულენოვან გამოცემათა შორის, თავისი რადიკალური დემოკრატიული მიმართულებითა და აქტუალური საზოგადოებრივი საკითხების გაშუქებით [ბასილაძე 2018:163]. „Обзор“-ის დაარსება დაემთხვა რუსეთ-ოსმალეთის ომის ბოლო ეტაპს, როდესაც კავკასიის ფრონტზე წყდებოდა ძირ-ძველი ქართული მიწების აჭარისა და შავშეთ-კლარჯეთის დაბრუ-ნების საკითხი, რაც ცხადია ქართული საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევდა.

1878 წლის იანვრის დასაწყისში, ახლადდაარსებული გაზეთის პირველსავე ნომრებში („Обзор“ №2, 3), ნიკოლაძემ ომთან დაკავშირებით გამოაქვეყნა ორი წერი-ლი სათაურებით - „ომი თუ მშვიდობა“ და „მოლაპარაკება“. პირველ წერილში იგი მიმდინარე ომს განიხილავს, როგორც მხოლოდ ერთ რგოლს იმ გრძელი ჯაჭვისას,

რომელიც დაიწყო ოსმალეთის წინააღმდეგ პეტრე დიდის პირველი გალაშქრებით, და დასრულდება შორეულ მომავალში ოსმალეთის ბატონობის სრული მოსპობით [ნიკოლაძე 1966:295]. ნიკოლაძის აზრით, ამ ეტაპზე რუსეთს არ შესწევს იმის ძალა, რომ ბოლო მოუღოს ოსმალეთის სახელმწიფოს. ამიტომ უმჯობესია დაიდოს მხარეებს შორის საპატიო ზავი. საქმის ასეთ გადაწყვეტას ხელს უწყობს შექმნილი სიტუაციაც. რუსეთმა გამარჯვებები მოიპოვა როგორც ბალკანეთზე, ასევე კავკასიის ფრონტზე. ოსმალეთი დაუძლურებულია და არ შესწევს ომის გაგრძელების ძალა. იგი მზადაა რუსეთს დაუთმოს საქართველოსა და სომხეთის თურქული ნაწილი ბათუმიდან ბაიაზეთამდე, ბალკანეთში კი ცნოს ბულგარეთის ავტონომია და რუსეთის საზღვაო ფლოტის სრუტეებით სარგებლობის უფლებები [იქვე, 301]. დაზავების თემის გაგრძელებას წარმოადგენს მეორე წერილიც სათაურით — „მოლაპარაკება“. ავტორი მკითხველს აცნობებს ოსმალეთის მიერ გამოთქმული მზადყოფნის შესახებ, აწარმოოს უშუალო მოლაპარაკებები რუსეთთან ზავის შესაკვრელად. ნიკოლაძის აზრით, რუსეთ-ოსმალეთის ამ მოლაპარაკებას ფორმალური ხასიათი აქვს, რადგან აღმოსავლეთის საკითხის გადაწყვეტა ევროპის ქვეყნების მონაწილეობის გარეშე არ მოხდება. ევროპა და განსაკუთრებით ინგლისი, რომელსაც საკუთარი ინტერესები აქვს აღმოსავლეთში არ დაუშვებს საკითხის ლოკალურად გადაწყვეტას [ნიკოლაძე 1966: 302-303].

ოსმალეთის სახელმწიფომ, ინგლისის შუამავლობით, მიმართა რუსეთის დაზავებასთან დაკავშირებით, მაგრამ შუამავლობა არ იქნა მიღებული. რუსეთმა ოსმალეთს საბოლოო დაზავებამდე, წინასწარი პირობები წაუყენა, რაც შემდეგში მდგომარეობდა: 1. რუმინეთის სრული დამოუკიდებლობა; 2. სერბიისა და ჩერნოგორიის დამოუკიდებლობა; 3. ბულგარეთის ავტონომია. ოსმალეთის მბრძანებლობის ქვეშ, მაგრამ ქრისტიანი გუბერნატორით; 4. რუსეთისათვის ბათუმის, ყარსის, ერზრუმისა და მათი ახლო-მახლო რაიონების დათმობა. აღნიშნული პუნქტები ნ. ნიკოლაძემ გამოაქვეყნა „Обзор“-ის 19 იანვრის ნომერში სათაურით — „მოლაპარაკება ზავის შესახებ“ [ნიკოლაძე 1966:358-363], ხოლო 24 იანვრის ნომერში კი იგი მკითხველს აუწყებს რუსეთსა და ოსმალეთს შორის მიღწეულ შეთანხმებაზე წერილით „დაზავებასთან დაკავშირებით“. ამ წერილში, ავტორს მეომარ მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმება დროებით მოვლენად მიაჩნია, რადგან მათ არ მიუღიათ ევროპის ქვეყნების თანხმობა. ნიკოლაძე ისევ გამოთქვამს ვარაუდს, რომ ევროპის ქვეყნების მოთხოვნით მოეწყობა საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც გადაწყვეტს **„ჩამოვარდება მშვიდობა თუ ომი გაგრძელდება“** [ნიკოლაძე 1966:382].

რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის დასრულდა 1878 წლის 3 მარტს სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულებით. ზავის თანახმად რუსეთმა მიიღო ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებით სარგებლობის უფლება. ჩერნოგორიამ, რუმი-

ნეთმა და სერბიამ მიიღეს დამოუკიდებლობა. ოსმალეთის ჯარები გაყვანილი იქნენ ბულგარეთიდან. ბულგარეთის ტერიტორიაზე რჩებოდა რუსეთის ჯარი, მხოლოდ ორი წლით. ბათუმის, ყარსის, ერზრუმისა და მათი მიმდებარე ტერიტორიები რუსეთის შემადგენლობაში გადადიოდა. სან-სტეფანოს ხელშეკრულება ზრდიდა რუსეთის ავტორიტეტს საერთაშორისო არენაზე, რაც ინგლისისათვის მიუღებელი იყო. ნიკოლაძის ვარაუდი გამართლდა. ინგლისისა და ავსტრია-უნგრეთის მოთხოვნით 1878 წლის ზაფხულში მოწვეული იქნა ბერლინში ევროპის წამყვანი ქვეყნების კონგრესი, რომელზეც განიხილეს სან-სტეფანოს ზავის პირობები. კონგრესის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ნ. ნიკოლაძემ 1878 წლის 16 ივლისის „Обзор"-ის ნომერში მიუძღვნა წერილი სათაურით — „ბერლინის ტრაქტატი". **ქართველი პუბლიცისტი რუსეთისათვის დადებითად აფასებს ამ ეტაპზე ბერლინის ტრაქტატით მიღწეულ შეთანხმებებს.** მართალია რუსეთს არ მისცეს სრუტეებით სარგებლობის უფლება, მაგრამ სამაგიეროდ მან მიიღო კავკასიაში ტერიტორიული შენაძენი (იგულისხმება ბათუმის, ყარსის, ართვისნისა და არდაგანის ოლქები — გ.ბ.), ასევე ბალკანეთის სლავებმა: სერბიამ, ჩერნოგორიამ და რუმინეთმა ოფიციალურად მოიპოვეს დამოუკიდებლობა, რადგან ოსმალეთმა სცნო ისინი დე იურედ, ბულგარეთი ავტონომიას დასჯერდა. ყოველივე ეს ნიკოლაძეს წინგადადგმულ ნაბიჯად მიაჩნია [ნიკოლაძე 1970:125].

ქართული საზოგადოებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ისტორიული მიწების დაბრუნების საკითხი. 1878 წლის 12 აგვისტოს „Обзор"-ის ნომერში დაიბეჭდა ნიკოლაძის სტატია სათაურით — „ბათუმის შემოერთება". ეხება რა ბათუმისა და თურქეთში შემავალი ქართული მიწების (ართვინისა და არდაგანის ოლქები — გ.ბ.) რუსეთის შემადგენლობაში გადმოსვლის საკითხს, ქართველი პუბლიცისტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თუ როგორი იქნება ხელისუფლების მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯები იმ მოსახლეობის მიმართ, რომლებიც ხანგრძლივი დრის განმავლობაში მოწყვეტილი იყვნენ საქართველოს.

ნ. ნიკოლაძის შენიშვნით, როდესაც რომელიმე ხალხი უერთდება იმ სახელმწიფოს, რომლის შემადგენლობაშიც არ შედიოდა (იგულისხმება რუსეთის იმპერია — გ.ბ.), მისი დამშვიდების უმნიშვნელოვანესი საშუალება არის ის, რომ ამ ხალხს ახალი წყობა და ახალი მდგომარეობა წინანდელზე ხელსაყრელი მოეჩვენოს. როცა ხალხი დარწმუნდება, რომ მისი ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდა და სახელმწიფო კანონიერებას, სიმშვიდეს უზრუნველყოფს, რომ არავინ შეურაწყოფს მის სარწმუნოებას და მისცემს შესაძლებლობას გონებრივი განვითარებისას, მაშინ ეს ხალხი ადვილად შეეგუება და დააფასებს ახალ სახელმწიფოს. „ამ საშუალებების გამოყენებით ხალხის განწყობილება ჯერ სიმშვიდეში გადაიზრდება, შემდეგ კი სიყვარულში" [ნიკოლაძე 1970:217]. ნიკოლაძის ამგვარი მოწოდება, როგორც ჩანს, გამოწ-

ვეული იყო ხელისუფლებისა და რუსი გენერლების გადაწყვეტილებით, წინააღმდეგობის შემთხვევაში ძალა გამოეყენებინათ აჭარისა და დანარჩენი ქართული მიწების მოსახლეობის მიმართ. დიდ ქართველ მოაზროვნეს აქვე მოჰყავს საფრანგეთის მიერ ელზასის დაპყრობის მაგალითი და წერს შემდეგს: ,,**ფრანგებმა ელზასი დაიპყრეს იმის მიუხედავათ, რომ ადგილობრივი მოსახლეობა მტრულად იყო განწყობილი დამპყრობლებისადმი და მათთან შეერთება არ სურდა.** მას შემდეგ მხოლოდ ერთი საუკუნე გავიდა და ელზასელთაგან საფრანგეთის ყველაზე დიდი პატრიოტები გაიზარდნენ. ცნობილია ისიც, თუ როგორ ხსნიან ამ უცნაურ მეტამორფოზას. ჰაინემ და ბერნმა შესანიშნავად აუხსნეს ეს თავის გერმანელ თანამოქალაქეებს: ,,თქვენ უუფლებონი იყავით, მუდამ ტირანიის მჩაგვრელობას განიცდიდით,–სწერდნენ ისინი გერმანელებს,–ამასობაში ელზასელებმა ყველა მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებები მოიპოვეს, რაც მონას ადამიანად ხდის. თანასწორუფლებიანობამ, მსაჯულთა სასამართლომ, ფეოდალური პრივილეგიების გაუქმებამ, მიწის მიღების შესაძლებლობამ, თვითმმართველობამ და ა. შ. ელზასელებს დაანახა, რომ ისინი მხოლოდ მას შემდეგ გახდნენ ადამიანები, რაც ასეთი უფლებები მიეცათ“(იქვე). ნიკოლაძემ ამ წერილით ცარიზმის ხელისუფლების წარმომადგენლებს პრობლემის მოგვარებისა და გადაჭრის ყველაზე ოპტიმალური გზა დაანახა მაშინ, როდესაც ხელისუფლების ყურადღება უფრო ძალისმიერ მეთოდებზე იყო გამახვილებული. .

სწორედ ამიტომ, იმავე წერილში დიდი ქართველი აღნიშნავს: **„ჩვენ იმ დროს ვამახვილებთ ყურადღებას საქმის ორგანიზაციულ მხარეზე, როცა საყოველთაო ყურადღება დაპყრობისკენ არის მიქცეულიო“ [ნიკოლაძე 1970: 218].**

ამგვარი მოწოდებით ხელისუფლების მიმართ იმ დროს მხოლოდ „Обзор“-ის მთავარი რედაქტორი არ გამოდიოდა. ილია ჭავჭავაძე, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი და სრულიად ქართული საზოგადოება ერთხმად მოითხოვდა მთავრობის წარმომადგენლებისაგან ახლად შემოერთებული მოსახლეობის მიმართ ჰუმანურ და ტოლერანტულ მოპყრობას. ქართული პატრიოტული ინტელიგენციის მოწოდებების მიუხედავად, ახლად შემოერთებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ გამუსლიმებულ ქართულ მოსახლეობას თავს დაატყდა რუსიფიკაციისა და კოლონიზაციის უხეში ძალა, რასაც რამდენიმე ათასი მოქალაქის ოსმალეთში გადასახლება(მუაჯირობა–გ.ბ.) მოჰყვა. 80–იანი წლების შუა ხანებიდან რეგიონში ვითარება შეიცვალა. აჭარისა და ართვინისა ოლქების მოსახლეობათა ინტეგრაცია დედა სამშობლოსთან უმტკივნეულოდ განხორციელდა. XIX საუკუნის ქართველ 60–იანელთაგან ნიკო ნიკოლაძე იყო ის ერთადერთი პიროვნება, რომელიც მოესწრო 1921 წლის მარტში ბოლშევიკური რუსეთის მიერ სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის ნაწილის თურქეთისათვის გადაცემას.

## ლიტერატურა


1.ბასილაძე გ. (2018). ნიკო ნიკოლაძის ეროვნული კონცეფცია და მისი საზოგადოებრივ–პუბლიცისტური მოღვაწეობა XIX საუკუნის 70–80–იან წლებში. ქუთაისი; აწსუ გამომცემლობა.

2. ნიკოლაძე ნ. (1966). ომი თუ მშვიდობა. თხზულებანი, ტ.V.თბ., გამ-ა ,,საბჭოთა საქართველო".

3. ნიკოლაძე ნ. (1966). მოლაპარაკება. თხზულებანი, ტ.V.თბ., ,,საბჭოთა საქართველო".

4. ნიკოლაძე ნ. (1966). მოლაპარაკება ზავის შესახებ. თხზულებანი, ტ.V.თბ., გამ-ა ,,საბჭოთა საქართველო".

5. ნიკოლაძე ნ. (1970). ბერლინის ტრაქტატი. თხზულებანი, ტ.VI.თბ., ,,საბჭოთა საქართველო".

6. ნიკოლაძე ნ. (1970). ბათუმის შემოერთება. თხზულებანი, ტ.VI.თბ., ,,საბჭოთა საქართველო".

7. სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. (2008). ტ.III. ბათუმი.

8. სამხრეთ–დასავლეთ საქართველო(ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია).(2012). საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები.II.თბ., გამ- ,,უივერსალი".



**Giga Bsiladze**

Akaki Tsereteli State University


**Niko Nikoladze and newspaper „The Obsor" about the 1878-1878 „Russian-Osmalian" war and the reunion of south-west Georgia.**


Abstract

XIX century is one of the difficult and interesting periods in Georgian History. This is the very century characterised by contradictory events such as losing governmental state, reviving nationality, reuniting historical territories and population with native land, unifying Georgians as one nation within the Russian empire. Under the Tsarism helm, Georgian people managed not only to survive and consolidate, but also to get back the patches and population lost centuries ago. Goergian patriotic intellctual society was actively involoved in the process that used Russin power to get back territories conquered by Osmalia.

The above mentioned are exacltly the issues that the article elaborates on. It demonstrates the publistic letters of Great Georgian activist and publisher Niko Nikoladze published in Russian Newspapers.



**რეცენზენტი:** პროფესორი ვიქტორ განკევიჩი